ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2455565

ნომერი: AR1378990

თარიღი : 17.02.2016

გაცემის თარიღი : 26.02.2016

გაცნობის თარიღი : 29.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს ,მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის(ნაკვ. 10/22);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ანდრიაძე პ/ნ 01024010008
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 29/31/33 ბ. 34

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ახალი საჩივარი ფიქსირდება, მივწერე იურისტს და ინაიდან ახალი გარემოაბე არ არის, სხდომა კი წინაზე ჩანიშნული იყო, ეხლა აღარ არის საჭიროოო.

I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის (ნაკვ. 10/22), შპს "ან-ჯი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 01.13.05.010.022), I კლასის ღობის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.13.05.010.022, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882015502255 09/09/2015წ., ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და ფოტომონტაჟი, საკადასტრო გეგმა საპროექტო ღობის მონიშვნით) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ხოშარაულის და ელიავას ქუჩებს, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ვახუშტის ხიდს შორის (ნაკვ. 10/22), შპს "ან-ჯი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 01.13.05.010.022), I კლასის ღობის მშენებლობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობე განთავსდეს N 01.13.05.010.022 მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების ფარგლებში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.